# დღეს მიუნხენში საზეიმოდ გაიხსნება XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 167 (4677)

1972 წ. 26 აგვისტო, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

26 აგვისტოს XX ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ოლიმპიურ ცეცხლს აანთებს გფრ-ის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის 1500 მეტრზე რბენაში გ. ცანი (სურათზე).

კეისტონ — ხაკდესის ფოტო.



## წარმატება ვუსურვოთ!

აი, ვინ დაიცავს საქართველოდან საბჭოთა სპორტის ღირსებას მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში:

ზ. საკანდელიძე, მ. კორკია (კალათბურთი);
ლ. თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა);
ჯ. მეგრელიშვილი (კლასიკური ჭიდაობა);
გ. გოგოლაური, შ. ჩოჩიშვილი, გ. ონაშვილი (ძიუდო);
ო. ფხაკაძე (ველოსპორტი, სპრინტი);
ნ. დრონოვა (ტანვარჯიში);
ო. ქაფიანიძე (აკადემიური ნიჩბოსნობა);
ვ. კრატასიუკი (ბაიდარებით ნიჩბოსნობა);
გ. ნასყიდაშვილი (საწყლოსნო სლალომში);
ვ. სანეევი (მძლეოსნობა);
თ. ლეკვეიშვილი (ცურვა);
ძ. ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა);
დ. შანიძე (ძალოსნობა);
მ. ხურციძე, რ. ძოძუაშვილი (ფეხბურთი).

ამრიგად, საქართველოს 18 სპორტსმენი 14 სახეობაში იასპარეზებს. წარმატება ვუსურვოთ მათ!

## მეჩვიდმეტე პარტია

სპასკი — ფიშერის მატჩის XVII პარტია გადადებული იყო შემდეგ პოზიციაში:

ფიშერი



სპასკი

ეს შეხვედრა თითქოს კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო. სპეციალისტების ნაწილს მიაჩნდა, რომ მსოფლიო ჩემპიონს მოგების შანსი ჰქონდა, თუმცა, სხვების აზრით, პრეტენდენტის ფიგურების აქტიური განლაგება მას ყაიმის დიდ შესაძლებლობას აძლევდა.

ასეა თუ ისე, პარტია მაინც ბევრისთვის მოულოდნელად დასრულდა სვლების განმეორებით:

41. ეfc2 (ჩაწერილი სვლა) g5 42. ეc1 ეe2 43. ეfc2 ეe1 44. ეc1 ეe2 45. ეfc2.

აქ ფიშერმა მატჩის მთავარ არბიტრს მიმართა და მისი მოთხოვნით პარტიაში ყაიმი აღინიშნა.

## მეთვრამეტე პარტია

ფიშერი — სპასკი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. მc3 მc6 4. d4 cd 5. მ:d4 მf6 6. კg5 e6 7. ლd2 a6 8. 0—0—0 კd7 9. f4 კe7 10. მf3 b5 11. კ:f6 gf 12. კd3 ლa5 13. მფb1 b4 14. მe2 ლc5 15. f5 a5 16. მf4 a4 17. ეc1 ეb8 18. c3 b3 19. a3 მe5 20. ეhf1 მ:c4 21. კ:c4 ლ:c4 22. ეce1 მფd8 23. მფa1 ეb5 24. მd4 ეa5 25. მd3 მფc7 26. მb4 h5 27. g3 ეe5 28. მd3 ეb8 29. ლe2 ეa5 30. fe fe 31. ეf2 e5 32. მf5 კ:f5 33. ე:f5 d5 34. ed ლ:d5 35. მb4 ლd7 36. ე:h5 კ:b4 37. cb ეd5 38. ეc1+ მფb7 39. ლe4 ეc8 40. ეh1 მფb6 41. ეh7 ეd4 42. ლg6. პარტია გადაიდო.

• • •

XVIII პარტიაში ფიშერის სვლაზე მეფის პაიკით სპასკიმ სიცილიური დაცვა აირჩია. მე-6 სვლაზე ფიშერმა თავი აარიდა მატჩში უკვე გამოყენებულ გაგრძელებას და გაითამაშა ცნობილი საბჭოთა თეორეტიკოსის ვ. რაუზერის დამუშავებული სისტემა.

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მატჩში შექმნილი სიტუაცია მსოფლიო ჩემპიონს აქტიურად თამაშს უკარნახებს და მანაც არ დააყოვნა — პაიკებით შეუტია ლაზიერის ფრთას, სადაც გრძელი როქის შემდეგ პრეტენდენტის მეფე აღმოჩნდა მოკალათებული. ფიშერმა შეძლო მეტოქის იერიშის მოგერიება, მაგრამ მდგომარეობა მაინც დაძაბული რჩებოდა.

28-ე სვლაზე სპასკიმ მეტოქეს ხარისხი შესთავაზა. ბუნებრივია, ფიშერმა უარი თქვა „დანაის ძღვენზე", ვინაიდან ორიოდე სვლის შემდეგ სპასკი კუს შეწირვით ძლიერ იერიშს იწყებდა მეტოქის მეფეზე.

როგორც ჩანს, 34-ე სვლაზე ლ:d5-ის ნაცვლად მსოფლიო ჩემპიონს უფრო ძლიერად შეეძლო ეთამაშა — ეd8.

რთული ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო შემდეგ მდგომარეობაში:

სპასკი



ფიშერი

42-ე სვლა მსოფლიო ჩემპიონმა ჩაიწერა.

• • •

გუშინ შედგა გადადებული პარტიის დამთავრება. 48-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 10,5:7,5 პრეტენდენტის სასარგებლოდ.

## სსრკ-ის წევრებს, XX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსა და მონაწილეებს

გულითადად მივესალმები XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების — 1972 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშები ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დიდი სტიმული, დედამიწის ყველა კონტინენტის სპორტსმენთა ურთიერთობის მნიშვნელოვანი საშუალება გახდა.

სსრ კავშირის მთავრობა ყოველნაირად ცდილობს წაახალისოს ქვეყანაში სპორტული მოძრაობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას, ხანგრძლივი წლების მანძილზე კარგი ჯანმრთელობისა და შემოქმედებითი აქტივობის შენარჩუნებას. ჩვენი მიზანია ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისთვის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდეს თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირში დღენიადაგ უმჯობესდება პირობები ამ მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანის გადასაწყვეტად.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც საგარეო პოლიტიკაში განუხრელად იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, მუდამ მხარს უჭერს იმ საზოგადოებრივ ძალებსა და მოძრაობებს, რომელთა საქმიანობა ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთგაგებისა და მშვიდობის განმტკიცებას. ამ კეთილშობილურ საქმეს უნდა ემსახურებოდეს ოლიმპიური თამაშებიც.

დაე თამაშებმა გვიჩვენოს არა მარტო თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისაკენ მისწრაფება, პატიოსანი სპორტული ბრძოლის სულისკვეთება, არამედ აგრეთვე ახალგაზრდობის თანამშრომლობა და შეკავშირება მშვიდობის, პროგრესისა და დემოკრატიის საკეთილდღეოდ.

ვუსურვებ XX ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს წარმატებას ასპარეზობის მოწყობაში, სპორტსმენებს კი სპორტული გამარჯვებების, ახალი მიღწევების სიხარულს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

## სპორტი — 72

● ჟენევა, 23 აგვისტო. შვეიცარიის ექვსდღიან სამრბოლო ველორბოლაში „ვილჰელმ ტელის პრიზზე" ყველას აჯობა ინგლისელმა დ. ლოიდმა, რომელმაც რბოლის ბოლო ეტაპიც — რიგ-რიგი სტარტით 35 კილომეტრზე შეჯიბრება მოიგო — 58.59,9. გამარჯვებულის დროის ჯამია 16:53.38. II ადგილზე გავიდა ესპანელი ხ.-ლ. ვიესო (16:54.53), ხოლო III — პოლონელი რ. ცვირკო (16:55.20). კუიბიშეველმა ა. გუსიატნიკოვმა IV ადგილი დაიკავა (16:55.26). ეს სამრბოლო ველორბოლის ოსტატთა ბოლო დიდი შეჯიბრება იყო მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების წინ.

● კამპალა, 24 აგვისტო. აქ სტუმრად მყოფმა ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ჯერ „პრისონი" დაამარცხა (104:42), მერე კი უგანდის არმიის ნაკრები (99:37).

● ტორონტო, 24 აგვისტო. „მეიპლ ლიფ გარდენში", სადაც კანადის უძლიერესი პროფესიონალი ჰოკეისტები საბჭოთა ნაკრებთან მატჩებისთვის ემზადებიან, დღეს ბოლო წლების უდავოდ საუკეთესო ჰოკეისტი, სახელგანთქმული მცველი ბობი ორი გამოჩნდა. „ნეკერჩხლის ფოთლების" საწვრთნელ შეკრებაზე მისი დაგვიანებით გამოცხადება იმან გამოიწვია, რომ ივნისის დამლევს ორმა მენისკის ოპერაცია გადაიტანა. ჯერჯერობით კაცმა არ იცის, რომელ თამაშში გამოვა პირველად ორი. პირველ საწვრთნელ მეცადინეობებზე ეს ჰოკეისტი ინდივიდუალური პროგრამით ჩაატარებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როგორც კანადაში ამბობენ, ამ ჩინებული ჰოკეისტის მოედანზე ყოფნა სულ ცოტა 50 პროცენტით აუმჯობესებს პარტნიორების თამაშს.

● პრაღა, 24 აგვისტო. სტოკჰოლმსა და მოსკოვში ჩატარებული მატჩების შემდეგ კანადის პროფესიონალი ჰოკეისტები 30 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონს — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს შეხვდებიან. ეს შეჯიბრება პლზენის ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს აგიზგიზდება

# საქართველო და ოლიმპიადები




ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები. კორტინა დ'ამპეცო. 1956 წლის 26 იანვარი-5 თებერვალი.

კობა წაქაძე (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა) — 30-ე ადგილი (80,5 და 82,5 მ).

• • •

XVII ოლიმპიური თამაშები. რომი, 1960 წლის 25 აგვისტო-11 სექტემბერი.

რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) — I ადგილი სიმაღლეზე ხტომაში. ფინალში მისი შედეგი — 216 სმ — ოლიმპიური რეკორდი იყო.

ავთანდილ ქორიძე (კლასიკური ჭიდაობა, მსუბუქი წონა) — I ადგილი. ორი პირველი ბრძოლა დე სილვასთან (იტალია) და ნორტრუპთან (აშშ) ქულებით მოიგო, მესამე შეხვედრა ლეჰტონენთან (ფინეთი) ფრედ დაამთავრა, მერე წმინდად (5 წთ.) დაამარცხა მონდი (საბერძნეთი), ქულებით — მარტინოვიჩი (იუგოსლავია) და ფრეი (შვეცია).

გურამ მინაშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი) — II ადგილი. სსრ კავშირის ნაკრებმა წინასწარი მატჩები ასე დაამთავრა: მექსიკასთან — 66:49, ბრაზილიასთან — 54:58, პუერტო-რიკოსთან — 100.63, ნახევარფინალი: ურუგვაისთან — 89:53, იუგოსლავიასთან — 88.61, აშშ-სთან — 57:81, ფინალი: ბრაზილიასთან — 64:62, იტალიასთან — 78:70.

გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა, საშუალო წონა) — II ადგილი. ორი პირველი ბრძოლა წმინდად მოიგო — ჯერ სძლია ავღანელ ჰოკანს (2 წთ.), მერე გერმანელ უცს (4). მესამე წრეში სხირტლაძე დამარცხდა დევიტთან (აშშ) შემდეგ ქულებით მოუგო სინგხს (ინდოეთი) და ფრედ დაამთავრა შეხვედრა ანტონსონთან (შვეცია).

გივი ჩიქვანაია და ლერი გოგოლაძე (წყალბურთი) — II ადგილი. საბჭოთა ნაკრებმა წინასწარ მატჩებში დაამარცხა გერმანიის გაერთიანებული გუნდი — 5:4, არგენტინა — 7:4, ბრაზილია — 8:2. ნახევარფინალში გაიმარჯვა რუმინეთთან — 3:2 და წააგო იტალიასთან — 0:2. ფინალში ფრედ დაამთავრა შეხვედრა უნგრელებთან — 3:3, და დაამარცხა იუგოსლაველები — 4 3.

ვლადიმერ რუბაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა) — III ადგილი. სამი პირველი შეხვედრა წმინდად მოიგო: ირანელ ქადენთან (4,35), შვეიცარიელ მანფრედთან (2,18), ფინელ პენტილასთან (3,20). ორი შეხვედრა ქულებით წააგო: ახტარისთან (პაკისტანი) და კოლევთან (ბულგარეთი).

გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა, ქვემძიმე წონა) — III ადგილი. ხუთი ბრძოლა ზედიზედ ქულებით მოიგო: ჯორჯთან (აშშ), ვანანენთან (ფინეთი), ალბრეჰტთან (გერმანია), პოპოვიჩთან (რუმინეთი), პიტთან (უნგრეთი). გადამწყვეტი ბრძოლა წააგო კიშთან (თურქეთი).

გურამ კოსტავა (დაშნით ფარიკაობა) — III ადგილი გუნდურ პირველობაში. ლიბანთან — 8.8, შვეიცარიასთან — 9:1, იაპონიასთან — 4:0, გერმანიის გაერთიანებულ გუნდთან — 9:2, იტალიასთან — 6:9, უნგრეთთან — 9:5. პირად ასპარეზობაში ნახევარფინალს მიაღწია.

ალექსანდრე შჩერბინა (მძლეოსნობა) — IV ადგილი 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში — 4:31.44,0.

ნუგზარ ასათიანი (ხმლით ფარიკაობა). როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში მეოთხედფინალამდე მიაღწია (არგენტინასთან—9:1, აშშ-სთან — 8:8).

ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა, ქვესაშუალო წონა) — XI ადგილი (დაშავდა და მესამე წრიდან ტურნირს გამოეთიშა). პირველ წრეში ოგანთან (თურქეთი) ქულებით დამარცხდა, მერე მოუგო უედს (კანადა) და ფრედ დაამთავრა ბრძოლა ჰოხენლთან (გერმანიის გაერთიანებული გუნდი).

რევაზ ქვაჩაკიძე (მძლეოსნობა). სიგრძეზე ხტომაში საკვალიფიკაციო ნორმატივი (740 სმ) ვერ შეასრულა — 682 სანტიმეტრზე გადახტა.

იური დიაჩკოვი (მძლეოსნობა). ათჭიდელთა ტურნირი არ დაუმთავრებია. 8 სახეობის შემდეგ 5803 ქულა ჰქონდა.

ბორის ნიკიტინი (ცურვა). 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში — VIII ადგილი (8.32,2).

ქულები: რ. შავლაყაძე — 7, ა. ქორიძე — 7, გ. სხირტლაძე — 5, ვ. რუბაშვილი — 4, გ. კარტოზია — 4, ა. შჩერბინა — 3, გ. კოსტავა — 0,8, გ. ჩიქვანაია — 0,45, ლ. გოგოლაძე — 0,45, გ. მინაშვილი — 0.41, ვ. უგრეხელიძე — 0,41. სულ საქართველოს სპორტსმენებმა რომში 32,52 ქულა დააგროვეს, რაც ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში XXI ადგილს შეეფარდება.

• • •

ზამთრის VIII ოლიმპიური თამაშები. სკვო-ველი. 1960 წლის 18-28 თებერვალი.

კობა წაქაძე (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა) — IX ადგილი (89 და 79,5 მ).

• • •

XVIII ოლიმპიური თამაშები. ტოკიო, 1964 წლის 10-24 ოქტომბერი.

ნუგზარ ასათიანი (ხმლით ფარიკაობა) — I ადგილი (გუნდური). სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა: იაპონია — 9:2, აშშ — 9:4, პოლონეთი — 9:7, იტალია — 9:6.

ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი) — I ადგილი. სსრ კავშირის ნაკრებმა გაიმარჯვა: რუმინეთთან — 3:0, ნიდერლანდებთან — 3:0, სამხრეთ კორეასთან — 3:0, უნგრეთთან — 3:0, ჩეხოსლოვაკიასთან — 3.2, წააგო იაპონიასთან — 1:3, მოიგო აშშ-სთან — 3:0, ბულგარეთთან — 3:0, ბრაზილიასთან — 3:0.



რ. შავლაყაძე



ა. ქორიძე

გურამ საღარაძე (თავისუფალი ჭიდაობა, ქვესაშუალო წონა) — II ადგილი. ორივე პირველი შეხვედრა წმინდად მოიგო: ფილიპინელ მაიოსთან (2,32) და ავღანელ შაკართან (3,30). მომდევნო ორი ბრძოლა მოიგო ქულებით: ობერლენდერთან (კანადა) და სინგხთან (ინდოეთი). ოგანთან (თურქეთი) და სანატკარანთან (ირანი) ფრეს დასჯერდა.

რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა) — II ადგილი. პირველი წრე — მაციოხთან (პოლონეთი) — ქულებით გამარჯვება, მეორე წრე — სილესთან (თურქეთი) — 4,26. წუთში, მესამე წრე — სკრაიდსტრუპთან (დანია) — ქულებით, მეოთხე წრე — მევისთან (ბელგია) — ქულებით, მეხუთე წრე — საკურამასთან (იაპონია) — ქულებით, მეექვსე წრე — პოიაკთან (უნგრეთი) — ფრე.

შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა) — II ადგილი ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სროლაში 3×40. დააგროვა 1144 ქულა.

ლევან მოსეშვილი (კალათბურთი) — II ადგილი. სსრ კავშირის ნაკრებმა წინასწარი მატჩები ასე დაამთავრა: კანადასთან — 87:52, მექსიკასთან — 87:76, უნგრეთთან — 84:42, პუერტო-რიკოსთან — 82:63, იაპონიასთან — 72:59, პოლონეთთან — 74:65, იტალიასთან — 76:67; ნახევარფინალი: ბრაზილიასთან—53:47, ფინალი: აშშ-სთან — 59:73.

ნოდარ ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა) — III ადგილი. პირველი წრე — ახტარისთან (პაკისტანი) — მოგება ქულებით, მეორე წრე — სახინთან (თურქეთი) — ქულებით, მესამე წრე — ისკარისთან (ფინეთი) — ქულებით, მეოთხე წრე — დუგლასთან (აშშ) — ქულებით, მეხუთე წრე — სეიპფურთან (ირანი) — ქულებით, მეექვსე წრე — კოლევთან (ბულგარეთი) — ფრე, მეშვიდე წრე — ვატანაბესთან (იაპონია) — წაგება ქულებით.

დავით გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა, მსუბუქი წონა) — III ადგილი. პირველი წრე — შმიდტთან (გერმანია) — მოგება ქულებით, მეორე წრე — აივაზთან (თურქეთი) — წაგება ქულებით, მესამე წრე — ხორვატთან (იუგოსლავია) — მოგება ქულებით, მეოთხე წრე — ისვენებდა, მეხუთე წრე — ტაპიოსთან (ფინეთი) — მოგება ქულებით, მეექვსე წრე — ბულარკასთან (რუმინეთი) — წაგება ქულებით, მეშვიდე წრე — ფუიტასთან (იაპონია) — მოგება ქულებით.

ანზორ კიკნაძე (ძიუდო, მძიმე წონა) — III ადგილი. ორი ბრძოლა მოიგო ქულებით: ნიმანთან (გერმანია) და ჰუნელეუმთან (ნიდერლანდები). მესამე წრეში წმინდად დამარცხდა იაპონელ ინოკუმასთან (4,51).

ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუდო, მძიმე წონა) — III ადგილი. ორი ბრძოლა მოიგო ქულებით: ჰარისთან (აშშ) და სვენსთან (დიდი ბრიტანეთი). მესამე წრეში ქულებით დამარცხდა როჯერსთან (კანადა).

გურამ კოსტავა (დაშნით ფარიკაობა) — III ადგილი პირად ჩათვლაში. სსრ კავშირის გუნდი პრიზიორებში ვერ მოხვდა (არგენტინასთან — 15:1, ლიბანთან — 9:1, უნგრეთთან — 4:8, გერმანიასთან — 3:8).

ალექსანდრე ტუტაკაევი (ცურვა) — IV ადგილი 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — 4.04,2.

რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) — V ადგილი სიმაღლეზე ხტომაში — 214 სმ.

როსტომ აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა, ქვემძიმე წონა) — V ადგილი. პირველი წრე — სუსიჩთან (იუგოსლავია) — ფრე, მეორე წრე — კიშთან (უნგრეთი) — მოგება ქულებით, მესამე წრე — სვენსონთან (შვეცია) — ფრე მეოთხე წრე — იუტცელერთან (შვეიცარია) — მოგება ქულებით.

ბორის პოლულიახი (ტრამპლინიდან წყალში ხტომა) — VI ადგილი (138.64 ქულა).

ზარიბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, მსუბუქი წონა) — VI ადგილი. პირველი წრე — ათალაისთან (თურქეთი) — წაგება ქულებით, მეორე წრე — ბაშირთან (პაკისტანი) — მოგება ქულებით, მესამე წრე—უ. ჩანდისთან (ინდოეთი) — მოგება ქულებით, მეოთხე წრე — ე. ვილჩევთან (ბულგარეთი) — მოგება ქულებით. დაუგროვდა 6 საჯარიმო ქულა და შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა.



ნ. ასათიანი



ვ. კაჭარავა

• •

შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა. საშუალო წონა) — IX ადგილი. პირველი წრე — გარჯევთან (ბულგარეთი) — ფრე, მეორე წრე — გობელტისთან (შვეიცარია) — მოგება ქულებით, მესამე წრე — გიუნგორთან (თურქეთი) — წაგება ქულებით.

ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი). დამარცხდა სპრინტერთა მეჯიბრების მერვედფინალში.

ქულები: ნ. ასათიანი — 1,4, ვ. კაჭარავა — 0.58, გ. საღარაძე — 5, რ. რურუა — 5, შ. ქველიაშვილი — 5, ნ. ხოხაშვილი — 4, დ. გვანცელაძე — 4, ა. კიკნაძე — 4, ფ. ჩიკვილაძე — 4, გ. კოსტავა — 4, რ. შავლაყაძე — 2, რ. აბაშიძე — 2, ბ. პოლულიახი — 1, ზ. ბერიაშვილი — 1, ა. ტუტაკაევი — 0,75, ლ. მოსეშვილი — 0,41. სულ საქართველოს სპორტსმენებმა ტოკიოში 44,14 ქულა დააგროვეს, რაც ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში XVI ადგილს შეეფარდება.

• • •

ზამთრის IX ოლიმპიური თამაშები. ინსბრუკი, 1964 წლის 29 იანვარი — 9 თებერვალი.

კობა წაქაძე (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა) — XXVII ადგილი (87 და 80,5 მ).

• • •

XIX ოლიმპიური თამაშები. მეხიკო, 1968 წლის 12-27 ოქტომბერი.

ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) — I ადგილი, სამხტომში: მისი შედეგი — 17,39 მ — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს რეკორდია.

რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა) — I ადგილი. პირველი წრე — კარაგოული (ერაყი) — მოგება წმინდად, მეორე წრე — ჰაზენვიკელი (აშშ) — წმინდად, მესამე წრე — დამიანოვიჩი (იუგოსლავია) — წმინდად, მეოთხე წრე — შნაიდერი (გდრ) — წმინდად, მეხუთე წრე — ალაკოჩი (თურქეთი) — ქულებით მეექვსე წრე — გალინჩევი (ბულგარეთი) — ქულებით, მეშვიდე წრე — ფუძიმოტო (იაპონია) — ფრე.

დიმიტრი შანიძე (ძალოსნობა, ქვემსუბუქი წონა) — II ადგილი. სამჭიდში დააგროვა 387,5 კგ (120+117,5+150).

შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა, ქვემძიმე წონა) — II ადგილი. პირველი წრე — კილი (გფრ) — აშკარა უპირატესობით, მეორე წრე — ჩატარი (უნგრეთი) — მოგება ქულებით, მესამე წრე — ფილბი (ირანი) —მოგება ქულებით, მეოთხე წრე—ისვენებდა, მეხუთე წრე — მუსტაფოვი (ბულგარეთი) — ფრე, მეექვსე წრე — ჩატარი (უნგრეთი) — მოგება ქულებით, მეშვიდე წრე — აიიკი (თურქეთი)—ფრე.

ზურაბ საკანდელიძე და სერგეი კოვალენკო (კალათბურთი) — III ადგილი. სსრ კავშირის ნაკრების შედეგები წინასწარ ტურნირში: პოლონეთთან — 91:50, მაროკოსთან — 123 51, სამხრეთ კორეასთან — 89:58, ბულგარეთთან—81.56, კუბასთან — 100 56, მექსიკასთან — 82.62, ბრაზილიასთან — 76 65; ნახევარფინალი: იუგოსლავიასთან — 62.63, ფინალი (III ადგილისთვის: ბრაზილიასთან — 70:53.

შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა) — IV ადგილი ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სროლაში 3×40. დააგროვა 1142 ქულა.

ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) — IV ადგილი სპრინტში. საკვალიფიკაციო სერიაში დაამარცხა ი. პიტარო (არგენტინა) და ტ. აბუ-საკაბი (ლიბანი). ბოლო 200 მეტრზე — 11,30 წამი. მეთექვსმეტედფინალში დაამარცხა მ. ელინეკი (ჩეხოსლოვაკია) ... ი. ალსოპი (დიდი ბრიტანეთი) — 200 მეტრზე — 11,26. მერვედფინალში დაამარცხა ტ. მოუნტფორდი (აშშ) და ნ. ფრედბორგი (დანია) — 200 მეტრზე — 10,94, მეოთხედფინალში მოუგო ჯ. ვერზინის (იტალია) — 2:1 (200 მ — 10,86); ნახევარფინალში წააგო დ. მორელონთან (საფრანგეთი) — 1:2 (200 მ — 10,69) მატჩი III ადგილისთვის წააგო ტრანტენთან (საფრანგეთი) — ... (200 მ — 11,1).

ზარიბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, მსუბუქი წონა) — ... ადგილი. პირველი წრე — უოლშ... (აშშ) — ფრე, მეორე წრე — ვილჩ...ვთან (ბულგარეთი)—ფრე, მესამე წ... — ენჩესთან (რუმინეთი) — მოგ... წმინდად (2,10), მეოთხე წრე — ... ჩარიუჩისთან (იაპონია) — მოგ...




დღეს დასავლეთ გერმანიის მიუ...
ოლიმპიური თამაშები. ახლა მ...
ლთა ყურადღება მიმართულია ...
ბრძოლებს გამართავენ მსოფლი...
მისასალმებელია, რომ ამ ...
მუნისტმა" და „მოლოდინოვ ...
სპორტული მოვლენისადმი მი...
ჩვენი რესპუბლიკის დელეგაც...
სპეციალურ ნომერში გამოქ...
მიანების — მრეწველობის, ს...
მუშაკთა მიმართვა ოლიმპიურ...
სადაც ისინი უსურვებენ ჩვენ...
ნებას. გამოქვეყნებულია ბევრ...
ლგაზრდობის შრომითს წარმ...
ზე, ნაამბობია თუ როგორ ...
სოფლის მეურნეობის, კულტ...
რესპუბლიკად.

დასასრული. იხ. „ლელო" № 166.

# ოლიმპიური ცეცხლი!



ვ. სანეევი



რ. რურუა

● ●

...ქულებით, მეხუთე წრე — სრეტერინ (მონღოლეთი) — მოგება ქულებით. დაუგროვდა 6 საჯარიმო ქულა და შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა.

თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა). 100 მეტრზე გულაღმა. ნახევარფინალში VIII ადგილი (1.11,0). 200 მეტრზე გულაღმა. წინასწარ გაცურვაში VI ადგილი (2.40,5). 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — IV ადგილი (4.37,0).

ლიუდმილა იევლევა (მძლეოსნობა). 80 მეტრზე თარჯრბენის წინასწარ გარბენში 10,9 აჩვენა, IV ადგილი დაიკავა და შემდგომი ბრძოლა შეწყვიტა.

გურამ გუდაშვილი (მძლეოსნობა). ბადროს ტყორცნაში — 57,48 მ. საკვალიფიკაციო ნორმატივი (58 მ) ვერ შეასრულა.

იგორ დელა-როსა (მძლეოსნობა). 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში დისტანცია არ დაუმთავრებია.

● ●

ბორის პოლულიახი (ტრამპლინიდან წყალში ხტომა) — XX ადგილი (84,32 ქულა).

ქულები: ვ. სანეევი — 7, რ. რურუა — 7, დ. შანიძე — 5, შ. ლომიძე — 5, შ. ქველიაშვილი — 3, ო. ფხაკაძე — 3, ზ. ბერიაშვილი — 2, თ. ლეკვეიშვილი — 0,75, ზ. საკანდელიძე — 0,33, ს. კოვალენკო — 0,33. სულ საქართველოს სპორტსმენებმა მეხიკოში დააგროვეს 33,41 ქულა, რაც ოლიმპიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში XXII ადგილს შეეფარდება.

• • •

ზამთრის XI ოლიმპიური თამაშები. საპორო. 1972 წლის 3-13 თებერვალი.

კობა წაქაძე (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა). 70 მ — IX ადგილი (77,5 და 77,5 მ). 90 მ — XXXV ადგილი (93 და 90 მ).

# სტარტებისთვის მზად არიან

მიუნხენი, 24 აგვისტო. XX საზაფხულო ოლიმპიადამდე დარჩენილ დღეებში ოლიმპიური სოფელი დაძაბულად ცხოვრობს. დღეს საქდესის კორესპონდენტი საბჭოთა სპორტსმენებს ეწვია. ოლიმპიურ სოფელში მოსახვედრად ჟურნალისტებს სპეციალური ნებართვა სჭირდებათ. სოფელს მაღალი ღობე აქვს შემოვლებული. ზუნდესვერის ჯარისკაცები, რომლებიც აქ კარისკაცებად, მზარეულებად, შოფრებად, მორიგეებად არიან დანიშნული, ყურადღებით ათვალიერებენ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემულ ყველა საშვს.

საბჭოთა გუნდი ჭამდენიმე საცხოვრებელ ბლოკშია განაწილებული. სტენდებზე გამოკრულია გაზეთები „პრავდა", „კომსომოლსკაია პრავდა", „ტრუდი", „სოვეტსკი სპორტი".

საბჭოთა გუნდის რედკოლეგიამ ოლიმპიური კედლის გაზეთის პირველი ნომერი გამოუშვა.

მიუნხენში უკვე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის თითქმის მთელი ოლიმპიური რაზმი. სპორტსმენები ყოველდღე ვარჯიშობენ. საშუალო ტემპერატურა 20-23 გრადუსია. მზიანი, უქარო დღეებია.

გუნდი ემზადება 25 აგვისტოსთვის, როცა ოლიმპიურ სოფელში სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა უნდა აფრიალდეს.

(საქდესი).

◆ ოლიმპიური იდეები მშვიდობის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას ემსახურება.



უსიტყვოდ.

ჩ. ერაძის ნახატი.

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს ლორდი კილანინი (ირლანდია), ნაცვლად ამერიკელი ევერი ბრენდეჯისა, რომელსაც ეს პოსტი ოც წელს ეკავა. კილანინი 1968 წელს სოკ-ის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად იქნა არჩეული. სოკ-ის პრეზიდენტად მისი არჩევის შემდეგ, ცხადია, ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური გახდა. ამ ადგილზე არჩეულია ვილი დაუმე (გფრ).

სოკ-ის ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ე. ბრენდეჯი მთელი სიცოცხლის განმავლობაში არჩეულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად.





...ისქ მიუნხენში სტარტს აიღებს XX ...მრავენი პლანეტის სპორტის მოყვარულ...იმპიური თამაშებისკენ, სადაც ცხარე ...ძლიერესი სპორტსმენები.

...მ ბმი გაზეთებმა „ახალგაზრდა კომ..." გამოუშვეს ამ გრანდიოზული ...მიღი ერთობლივი ნომერი, რომელიც ...ან წაიღო მიუნხენში.

...ულია საქართველოს ცნობილი ადა...ს მეურნეობის, კულტურის, სპორტის ...შების საბჭოთა მონაწილეებისადმი, ...სპორტსმენებს შინ გამარჯვებით დაბრუ...ტერესო მასალა საქართველოს ახა...მაზე, ჩვენს უძლიერეს სპორტსმენებ...საქართველო მძლავრი ინდუსტრიის, ...სპორტის დარგში ერთ-ერთ მოწინავე

# ოლიმპიური ქარტიის წინააღმდეგ

ბონი, 23 აგვისტო. სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელებმა შემდეგი განცხადება გააკეთეს:

ამჟამად მიუნხენში, მათ შორის ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზეც, ვრცელდება წიგნი „გერმანული მოზაიკა", რომელიც, როგორც სატიტულო ფურცლის წარწერიდან ჩანს, XX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის დავალებით არის გამოცემული. ამ წიგნის მთელი რიგი სტატიები ათასგვარ ცილისწამებასა და ჭორს შეიცავენ სოციალისტურ ქვეყნებზე და საბჭოთა კავშირზე. სავალალოა, რომ წიგნი, სადაც ასეთი ცილისი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული გრძნობების შეურაცხმყოფელი ხერხები და ფაქტების ფალსიფიკაციაა გამოყენებული, გამოცემულია თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მფარველობით და ოლიმპიური თამაშების მონაწილეებისთვის ოფიციალურ საჩუქრად არის მიჩნეული. ეს არ შეეფერება ოლიმპიურ ქარტიას, ოლიმპიური მოძრაობის იდეალებს, ეწინააღმდეგება მთელი მსოფლიოს სპორტსმენთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებას.

ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ ამ წიგნის გავრცელებისა, მიგვაჩნია, რომ ეს მხოლოდ გაართულებს ვითარებას და არასასურველ შედეგებს გამოიწვევს XX ოლიმპიურ თამაშებში.

ვხელმძღვანელობთ რა ოლიმპიური ქარტიით, ოლიმპიური თამაშების ტრადიციებით, საბჭოთა კავშირის სპორტულ ორგანიზაციათა მისწრაფებით, რომ ხელი შეუწყონ XX ოლიმპიური თამაშების წარმატებას, ჩვენ მოველით, რომ საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა შესაბამის ზომებს მიიღებს: სახელდობრ, დაუყოვნებლივ შეწყვეტს პროვოკაციული წიგნის გავრცელებას ოლიმპიური სოფლის ტერიტორიაზე, შეჯიბრების ადგილებში, იზრუნებს ბრუნვიდან მისი ამოღებისთვის და ოფიციალურად უარს იტყვის მასზე.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტი, საბჭოთა ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობა იტოვებენ უფლებას, რომ ეს საკითხი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გადასცენ განსახილველად და სხვა ზომებიც მიიღონ.

(საქდესი).

• • •

ბონი, 24 აგვისტო. XX ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა განიხილა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობის პროტესტი წიგნის „გერმანული მოზაიკა" თაობაზე.

ვ. დაუმემ (გფრ) განაცხადა, რომ ამ საკითხს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი დაუყოვნებლივ განიხილავს, მანამდე კი ზემოაღნიშნული წიგნის გაყიდვა შეწყდება.

# რასისტები გააძევეს

მიუნხენი, 23 აგვისტო. ზუსტად XX ოლიმპიური თამაშების გახსნის წინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი თქვა ასპარეზობაში სამხრეთ როდეზიის სპორტსმენთა მონაწილეობაზე. სოკ-ი იძულებული გახდა მიეღო ეს გადაწყვეტილება პროგრესული საზოგადოებრიობის მოთხოვნით და აფრიკული ქვეყნების მხრივ ბოიკოტის შიშით.

სოკ-ში რასისტთა დამცველები შეუპოვრად ეძებდნენ გზას, რათა სმითის რეჟიმის წარმომადგენლები ოლიმპიადის სარბიელზე როგორმე დაეშვათ, თუმცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია როდეზიელ რასისტებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. როდეზიელებს საშუალება მიეცათ მიუნხენში ბრიტანეთის დროშითა და ჰიმნით გამოსულიყვნენ. ისინი მყისვე დათანხმდნენ ამ პირობას და სამხრეთ როდეზიის გუნდი ოლიმპიურ სოფელში გამოჩნდა.

ამის გამო პროტესტით გამოვიდნენ აფრიკის ერთობის ორგანიზაცია, აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეები. აფრიკის კონტინენტის სპორტსმენებმა განაცხადეს, რომ ბოიკოტს გამოუცხადებენ ოლიმპიურ თამაშებს, თუ როდეზიელთა გუნდი სარბიელზე გამოვა.

როდეზიის საკითხი ყველაზე მწვავე იყო სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე და ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, რომლებიც მიუნხენში ჩატარდა. და აი, დასასრულ მოეწყო კენჭისყრა, რომლის შემდეგაც რასისტებს უარი ეთქვათ.

აფრიკის სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჟან-კლოდ განგამ გამოაცხადა, რომ ახლა თამაშებში აფრიკის ყველა ქვეყნის გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

(საქდესი).

## როცა მიუნხენში 11 საათია...

| რიო-დე-ჟანეირო | ლოს-ანჯელესი | ტოკიო... | მიუნხენი | მოსკოვი | ტოკიო | სიდნეი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7.00.50,4 | 2.00.50,4 | 9.00.50,4 | 11.00.50,4 | 13.00.50,4 | 19.00.50,4 | 20.00.50,4 |



# საბჭოთა გუნდები უცხოეთში

ჩეზენა, 24 აგვისტო. კიევის „დინამომ" წარმატებით დაიწყო ტურნე იტალიაში: პირველ მატჩში ანგარიშით 1:0 სძლია ადგილობრივ გუნდს. ეს ერთადერთი ბურთი 46-ე წუთზე გაიტანა პუზაჩმა.

ატლანტა (ჯორჯიის შტატი), 24 აგვისტო. მოსკოვის დინამოელებმა აქ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს „ატლანტა ჩიფსთან" შეხვედრაში — 3:0.

მასპინძელთა კარი შესვენებამდე ორჯერ აიღო კოზლოვმა, ხოლო შემდეგ ეშტრეკოვმა მესამე გოლი გაიტანა. ამერიკელ ფეხბურთელებს ჰქონდათ ანგარიშის შეცვლის რამდენიმე შესაძლებლობა, კერძოდ, ბურთი ორჯერ მოხვდა „დინამოს" კარის ძელს.

გული, 24 აგვისტო. დონის როსტოვის ასკ-ს ფეხბურთელთა გუნდი აქ უგანდის ჩრდილოეთის რაიონის ნაკრებს შეხვდა, მაგრამ მატჩი ერთბაშად ჩამოწოლილი ტროპიკული ღამის გამო მაშინ შეწყდა, როცა ანგარიში 0:0 იყო. ადგილობრივ სტადიონს ელექტროგანათება არა აქვს, თამაშის დაწყებაზე კი როსტოველებს დააგვიანდათ, ვინაიდან მათმა თვითმფრინავმა დიდხანს ვერ შეძლო გულის თავზე მექანიკური ძლიერი ფრონტის გარღვევა.

ველე, 24 აგვისტო. მოსკოვის „ლოკომოტივმა" აქ ადგილობრივი სამი კლუბის ფეხბურთელთაგან შემდგარ ნაკრებთან გამართა ამხანაგური შეხვედრა და გაიმარჯვა — 3:2 (2:0). ბურთები გაიტანეს ჩესნოკოვმა, კოზლოვმა, პოპკოვმა და შვედმა თავდამსხმელმა ულსონმა (2).





# მოგვილოცავს, ბიჭებო!

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა, დიდი და პატარა, შეუნელებელი ინტერესით ელოდა ცნობებს ნოვოროსიისკიდან, სადაც მიმდინარეობდა „სიჭაბუკის თასის" საკავშირო გათამაშება 15–16 წლის ნორჩ ფეხბურთელთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა საუცხოოდ ჩაატარა ტურნირი და კიდევ ერთხელ, უკვე მეოთხედ მოიპოვა ეს საპატიო პრიზი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ა. ვარდიაშვილისა და თ. კუბლაშვილის აღსაზრდელებმა თავი არ დაზოგეს, რათა შინ სახელოვნად დაბრუნებულიყვნენ ამ სპორტული ნადავლით და მათი გულმოდგინება წარმატებით დამთავრდა. გუნდმა მოიგო თასი, ბიჭები დაჯილდოვდნენ ოქროს მედლებით, დიპლომებით, ვიმპელებით.

ტურნირის ბოლო დღეს გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და ბელორუსიის გუნდები. ბელორუსიელებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, ვინაიდან მათ შეხვედრის ფრედ დამთავრებაც აძლევდა პრიზის მოპოვების უფლებას. მაგრამ ჩვენმა გუნდმა დიდი მონდომებით, ძალლონის დაუზოგავად ითამაშა და დაამარცხა მეტოქე — 2:0. ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა ნახევარმცველმა ჟანავამ, ხოლო შესვენების შემდეგ ომიაძემ კარგად გამოიყენა ბელორუსიელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა — 2:0.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებს არ გასჭირვებია ანგარიშის შენარჩუნება.

საბოლოოდ, ადგილები „სიჭაბუკის თასის" წლევანდელ გათამაშებაში ასე განაწილდა: საქართველო, ბელორუსია, აზერბაიჯანი, მოსკოვი, უკრაინა, რსფსრ.

სპეციალური პრიზებიდან ერთ-ერთი დამსახურებულად მიიღო საქართველოს ნაკრების მეკარემ კარლო მჭედლიძემ.

ეს სურათები გადაიღო ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ა. ეთერაშვილმა ნოვოროსიისკში. მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია საქართველოსა და ბელორუსიის გუნდების ფინალური მატჩის მომენტი; მარცხნივ — „სიჭაბუკის თასის" მფლობელი — საქართველოს ნაკრები.



# ჩემპიონები — მესამედ!

მოსკოვში დამთავრდა ყრუ-მუნჯ ფეხბურთელთა გუნდების XIII საკავშირო ჩემპიონატი. ეს იყო ფინალური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები. შეჯიბრება მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ფინალური ტურნირი მიმდინარეობდა ძალიან საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში, სადაც საქართველოს წარმომადგენლებმა თავი გამოიჩინეს მაღალტექნიკური, ტაქტიკურად გამართული, მოფიქრებული თამაშით, დიდი მონდომებით და ენერგიით.

საქართველოს გუნდმა ანგარიშით 8:1 დაამარცხა აზერბაიჯანის ნაკრები, შემდეგ მოუგო რსფსრ-სა (2:1) და ბელორუსიის (1:0) გუნდებს, ფრედ ითამაშა უკრაინელებთან (2:2), სომხებთან (1:1) და საპატიო გარდამავალი თასი დაისაკუთრა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ რსფსრ-სა და სომხეთის გუნდები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ნაკრები ეს უკვე მესამედ ხდება სსრ კავშირის ჩემპიონი. ფინალურ ტურნირში საუკეთესო ბომბარდირის სპეციალური პრიზი მიიღო ნ. რეხვიაშვილმა, რომლის ანგარიშზეა 6 გოლი. ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად მიჩნეულია ი. მესხი.

გათამაშების დამთავრების შემდეგ შედგა სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ჟ. ყარაულაშვილი, ნ. რეხვიაშვილი და ი. მესხი. მალე იწყება ყრუ-მუნჯთა მსოფლიო თამაშები და 16 სექტემბერს საბჭოთა ფეხბურთელებს შესარჩევი მატჩი ექნებათ უნგრეთის ნაკრებთან.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი — საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გუნდი: პირველ რიგში — ნ. რეხვიაშვილი, გ. სახალელი, ი. ნასარეია, ა. გრიგორიანი, გ. ჩოლიკაშვილი, ჯ. ნადირაძე, გ. ჩხაიძე; მეორე რიგში: გუნდის მწვრთნელი რ. მამაჯანოვი, გუნდის უფროსი ტ. რამაზაშვილი, ი. მესხი, ჟ. ყარაულაშვილი, ს. სავიდი, პ. გლუხოვი, ჯ. ჯაბოშვილი, ტ. ილიჩევი, ა. ყარაულაშვილი, ნ. მესხი, გუნდის წარმომადგენელი რ. ქაჯაევი.



## ბომბარდირები

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა შორის ლიდერობს გეგეჭკორის „სალხინოს" თავდამსხმელი ჯ. ოდიშარია, რომლის ანგარიშზეა 17 გოლი.

ბომბარდირთა შორის არიან აგრეთვე ო. რევაზიშვილი („ქართლი", გორის რაიონი) — 15, ა. კემულარია („დინამო", ზუგდიდი) — 14, ზ. გუგუშერიძე („განთიადი", ბორჯომი) — 13.

## კალეიდოსკოპი

ლიეპაია, 23 აგვისტო. წყალსამოტორო სპორტში საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე მეორე დღეს — 23 აგვისტოს — საუკეთესო მრბოლელებმა კვლავ აიღეს სტარტი: ამჯერად მათ რეკორდებზე მიიტანეს იერიში. შეჯიბრებამ მართლაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

ტალინელმა ლ. კასიკმა „ოა" სკუტერით მსოფლიო რეკორდი დაამყარა 10-მილიან დისტანციაზე — 99,958 კმ საათში.

საკავშირო რეკორდები დაამყარეს ტარტუელმა ი. ლიიმ და მოსკოველმა გ. სოკოლოვმა. მათი სისწრაფე მოტონავებზე „სც" და „სბ" შესაბამისად ასეთი იყო: 74,29 და 70,11 კმ საათში.

თავიანთი მიღწევები სპორტსმენებმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

# „ტყავის ბურთის" პრიზზე

### კრასნოდარი

„ყუბანის" სტადიონზე დამთავრდა უფროსი ასაკის ფეხბურთელ ბავშვთა საკავშირო ფინალური გათამაშება „ტყავის ბურთის" პრიზზე.

გადამწყვეტი მატჩი შედგა რიგის „მარდოუგავასა" და კიროვაბადის „კიაპიაზს" შორის. გამარჯვება (2:1) და მასთან ერთად საპატიო პრიზი რიგელებმა მოიპოვეს.

III ადგილი დაიკავა თბილისის „დიდუბემ".

### ლვოვი

ქალაქის ხუთ სტადიონზე ათი დღის მანძილზე გაგრძელდა უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა ფინალური ასპარეზობა „ტყავის ბურთის" პრიზზე.

ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საპატიო პრიზისთვის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გოროლოვკის „მურავლენკა" და აზერბაიჯანის ქალაქ კუბის „შაჰდაგი".

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს გოროლოველებმა.

III ადგილზეა ორჯონიკიძის „დიდინავი".



◆ სოფია, 25 აგვისტო. ბულგარეთში სტუმრად მყოფმა ერევნის „არარატის" ფეხბურთელთა გუნდმა აქ ადგილობრივ „აკადემიკთან" წააგო — 1:3. ბურთები გაიტანეს. მასპინძელთაგან — გორიანოვმა (2) და ვასილევმა, სტუმართაგან — ბონდარენკომ.

◆ ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. დევისის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდებიან აშშ-სა და რუმინეთის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდები, 13-15 ოქტომბერს გაიმართება ბუდაპეშტში.

◆ სიზრანი, 25 აგვისტო. საპლანერო სპორტში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა სიზრანელმა ვ. ზახაროვმა. II ადგილზეა მისი თანაქალაქელი ვ. ზალიკინი, III — იეგორიევსკელი გ. კოლესნიკოვი. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა რსფსრ-ს მეორე ნაკრებმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისი სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. I ჯგუფი. 26 აგვისტო. „ისნის" სტადიონი. „ისანი" (თბილისი) — „გიგანტი" (ლაითური). დასაწყისი 17 ს. 30 წთ. II ჯგუფი. 27 აგვისტო. აეროპორტის სტადიონი. „მევარდენი" (თბილისი) — „შარაქი" (წითელი წყარო). 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04591